# პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

პედაგოგი: ნანული ლოთიშვილი

თემა: მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის უნარის განვითარება.

მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ კომუნიკაციას ინივიდებთან, ჯგუფებთან.

# სარჩევი

1. შესავალი..... გვ: 4
2. საკვლევი თემის აქტუალობის დასაბუთება ..... გვ: 4-6
3. მიზნის განსაზღვრა..... გვ: 6-7
4. შესწავლილი ლიტერატურის ანალიზი..... გვ: 7-8
5. კვლევის მეთოდების შერჩევა, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი გვ: 8-11
6. მოქმედების სტრატეგიების განვითარება და შეფასება..... გვ: 11-18
7. გამოცდილების გაზიარება/პრეზენტაცია..... გვ: 19-20
8. ბიბლიოგრაფია..... გვ: 21
9. პედაგოგიური კვლევის რეფლექსია..... გვ: 22-24
10. პადაგოგიური პრაქტიკის კვლევის დღიური (დოკუმენტირება)..... გვ: 25
11. დანართი 1 ..... გვ: 25-28
12. დანართი 2 ..... გვ: 28-29
13. დანართი 3 ..... გვ: 29-32
14. დანართი 4 ..... გვ: 33
15. დანართი 5 ..... გვ: 34-35
16. დანართი 6 ..... გვ: 36-37

პედაგოგის და ზოგადად სკოლის ფუნქცია, საზოგადოების წინაშე განუზომლად დიდია და მნიშვნელოვანი. შეიძლება ითქვას, რომ დღეს როგორც არასოდეს ქვეყანას ჭირდება კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარებით აღჭურვილი, ტოლერანტი მოქალაქეები. ამ უნარების გარეშე, ჩვენ ვერ შევძლებთ მივიღოთ, გავაანალიზოთ, დავახარისხოთ, შევაფასოთ ის უზარმაზარი ინფორმაციული კასკადი, რაც მოემართება ქვეყნის გარედან, ინტერნეტსივრციდან და ა. შ. ქვეყანას ჰაერივით ჭირდება  თანამშრომლობაზე და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობები, საზოგადოება რომელსაც ექნება უნარი ღირსეულად უპასუხოს  XXI-ე საუკუნის გამოწვევებს.

სწორედ ამიტომ, ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით აღჭურვილი,თავისუფალი პიროვნების  ჩამოყალიბებისათვის. განუვითაროს მოზარდს გონებრივი, ფიზიკური, თანამშრომლობითი  უნარ-ჩვევები, მისცეს საჭირო ცოდნა, ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე  დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება. ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი  უმთავრესი მიზანიც, სწორედ ისაა, რომ: **„მოსწავლემ შეძლოს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება, საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები“** (ესგ). **ამ უნარების განვითარებას ისახავს მიზნად, საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის 41-ე  მუხლის, შემდეგი პუნქტებიც:**
**„  ა. თ) სასწავლო პროცესისათვის იმ ტიპის აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც მოსწავლეებს განუვითარებს სოციალურ და სამოქალაქო კომპეტენციებს-- საკუთარი აზრის დაფიქსირება და დაცვა, განსხვავებული აზრის პატივისცემა და გათვალისწინება, ტოლერანტობა, კონფლიქტების პრევენცია და მოგვარება, დემოკრატიული პრიციპების აღიარება და სხვა...**

**ბ. ე) საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლის პროცესში ყველა მოსწავლის**

**(მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით) მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა ჯგუფურ მუშაობებში...“**

**სკოლაში გამომუშავებული კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარები დაეხმარება** ჩვენს ახალგაზრდობას შეძლონ კომუნიკაცია  ერთმანეთთან, მეგობრებთან, საზოგადოებასთან და  საერთოდ განსხვავებული მსოფმხედველობის, რელიგიისა  თუ კულტურის,  ასევე სხვადასხვა შესაძლებლობის ადამიანებთან. ზოგადად  რომ ვთქვათ, მრავალფეროვან მსოფლიოსთან.....გარემო, სადაც ურთიერთობები ურთიერთპატივისცემაზეა დამყარებული, მეტად კომფორტულია სრულფასოვანი, ლაღი და თავისუფალი, თავის თავში დარწმუნებული , ღირსეული,  ტოლერანტი ადამიანის აღზრდისა და განვითარებისათვის. ასეთი ურთიერთობები  დადებითად აისახება  და აუმჯობესებს სასწავლო პროცესებსა და მის შედეგებს, ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების  წარმატებით

მიღწევას. სამწუხაროდ ბავშვს ვერ ვასწავლით საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობას. მისი, როგორც საზოგადოების წევრის თვითშეგნებისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია მოსმენისა და ალტერნატიული აზრის მიღების უნარი, საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობის, ადამიანებთან კრიტიკული, მაგრამ ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის უნარი. ბავშვები კი, ამ ყველაფერს სწავლობენ ერთმანეთისაგან მაგალითით და არა სახელმძღვანელოდან.

**კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში.** ისინი სწავლობენ მოქმედებაში, როცა თანამშრომლობენ, შედიან დიალოგში უფრო მცოდნე და გამოცდილ ადამიანებთან, სოციალურად აგებენ ცოდნას. ცოდნის სოციალურად აგება კი გულისხმობს მოსწავლეებისა და მასწავლებლების ერთობლივ, აქტიურ ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ თანამშრომლობას.

მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის უნარის განვითარების სხვადასხვა საშუალებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კლასის ორგანიზების ისეთ ფორმას, როგორიცაა ჯგუფური სამუშაო. ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობა უდავოა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თანამედროვე განათლების მიზანი არამხოლოდ ცოდნის, ფაქტობრივი ინფორმაციის დაგროვება, არამედ მიღებული ინფორმაციის ანალიზის, კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებაა. თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნების უნარების ჩამოყალიბებისათვის კი მოსწავლეებს უნდა ქონდეთ საშუალება კომუნიკაციის, რომ ილაპარაკონ, იაზროვნონ, ყავდეთ მსმენელი. ბავშვის კონცეპტუალური განვითარებისათვს დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარების იმავე დონეზე მყოფი, მაგრამ საწინააღმდეგო პოზიციის მქონე ადამიანებთან კამათს . ერთად მუშაობისას ბავშვები ეცნობიან ახალ ინფორმაციას, აანალიზებენ, უსმენენ განსხვავებულ აზრებს, ერთად ეძიებენ და პოულობენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს, ერთად გაიაზრებენ ცნებებს. თანამშრომლობის დროს, ერთის აზრი ბიძგს აძლევს მეორის იდეებს, ერთად მიდიან საკითხის ახლებურ გაგებამდე, სწავლობენ ერთად მუშაობას, ამჟღავნებენ ურთიერთპატივისცემას, აღწევენ შეთანხმებას, აკეთებენ დასკვნებს და შეფასებებს. შეუძლებელია მოსწავლემ ეს ყველაფერი შეძლოს თუ მას არ ექნება განვითარებული კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევები... სწორედ ამიტომ არის ასეთი მნივნელოვანი საკლასო გარემოში ჯგუფური მუშაობა.

აქედან გამომდინარე, ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, აქტიურად ვიყენებ კლასის ორგანიზების აღნიშნულ ფორმას. სასწავლო წლის დასაწყისში, მოსწავლეებთან ერთად შევიმუშავებ ჯგუფში მუშაობის ქცევის წესებს, რომლებსაც მოსწავლეები ხალისით ასრულებენ მთელი წლის განმავლობაში. ვცდილობ ჩემი ენერგია და მიზანი მოვარგო მოსწავლეთა საჭიროებებს.

ყოველთვის ვითვალისწინებ მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ემოციურ მდგომარეობას,თითოეული მათგანი ჩემთვის მნიშვნელოვანი და ღირებულია. თბილი და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული სასწავლო გარემოს შექმნა ჩემი უპირველესი ამოცანაა. ვთანამშრომლობ მათთან და საკუთარი ქცევებით მინდა მაგალითი მივცე ჩემს პატარა მეგობრებს.

თუმცა მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი , ზოგადად არ არის დადებითად განწყობილი ჯგუფური სამუშაოს მიმართ. ვერ ვიტყვი რომ ხალისით ერთვება ჯგუფურ სამუშაოში. ასეთი მოსწავლეები პასიურად ზიან, მხოლოდ უსმენენ ან ნაკლებად ყურადღებით უსმენენ თანატოლებს, არ გამოთქვავენ საკუთარ მოსაზრებებს, არ ერევიან კამათში, არ შედიან თანაგუნდელებთან დიალოგში, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ჯგუფში არიან, თუმცა „შორიდან“ უყურებენ თანატოლთა მუშაობას. ჩემს მცდელობებს, რომ გავამხნევო და წავახალისო შედეგი არ მოსდევს. შემაჯამებელი წერების ანალიზების მიხედვით, სწორედ ამ მოსწავლეებს აქვთ დაბალი შეფასებები. ისინი არ აქტიურობენ არც საერთო საკლასო მუშაობის დროს. არიან თავისთვის და არ ცდილობენ კომუნიკაციას მეგობრებთან. სახეზე იყო აღნიშნულ მოსწავლეებში, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევების უქონლობა.

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო გულისხმობს ყურადღების გამახვილებას თითოეულ მოსწავლეზე, როგორც სასწავლო პროცესის მთავარ მონაწილეზე. სამოქმედო გეგმის შედგენისას ყოველთვის პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს საკუთარი მოსწავლეების საჭიროებები, სადაც თითოეული ბავშვის ინდივიდუალური თავისებურების და მრავალფეროვნების გათვალისწინებაც არის აუცილებელი. ვინაიდან ჩემი მოსწავლეების საჭიროებას წარმოადგენდა ზემოთაღნიშნული უნარების განვითარება, გადავწყვიტე ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საშუალებით, პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში , გამომეკვლია ჩემი მოსწავლეების წინაშე არსებული გამოწვევები და მეპოვა საპასუხო გზები. **ჩემი კვლევის მთავარი კითხვის არსიც ისაა, რომ გამერკვია მიზეზები, რაც იწვევდა მოსწავლეების პასიურობას, ჩაკეტილობას ჯგუფური მუშაობის დროს. რა უშლიდათ ხელს , რომ თამამად გამოეთქვათ და დაეცვათ საკუთარი აზრი, რატომ არ თანამშრომლობდნენ მეგობრებთან.** მიზეზების გარკვევისა და გაანალიზების შემდეგ, როგორც უკვე ავღნიშნე, მეპოვა გზები, თუ როგორ დავხმარებოდი აღნიშნულ მოსწავლეებს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებაში, რადგანაც სასწავლო პროცესში საჭირო და აუცილებელია ცოდნისა და უნარების ინტეგრირება. მოსწავლის ეფექტური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია დიფერენცირებული მიდგომა, ეს ყველაფერი კი სასწავლო პროცესის წარმატებისა და შედეგიანობის საწინდარია. სამოქმედო გეგმის შედგენისას, გავითვალისწინე საკუთარი საჭიროებებიც და პროფესიული გამოცდილების გაზრდის მიზნით დავგეგმე, პირველივე შესაძლებლობისთანავე გამევლო შესაბამისი ტრენინგი. ჩემი მოლოდინები ტრენინგის გავლის შემდეგ მდგომარეობდა შემდეგში:

შეძენილი ცოდნა დამეხმარებოდა, სასწავლო პროცესი დამეხვეწა და გამემდიდრებინა სხვადასხვა აქტივობებით, რაც აამაღლებდა მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესებში, მომცემდა სათანადო ცოდნას, რომელიც დამეხმარებოდა მოსწავლეთა შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებაში.

**კვლევა დამეხმარება გავიზარდო პროფესიული თვალსაზრისით,** გავამდიდრო ჩემი პედაგოგიური გამოცდილება და საჭიროების შემთხვევაში გავუზიარო ჩემს კოლეგებსაც, მივიღო ეფექტური უკუკავშირი. კვლევის პროცესი საინტერესოს და ნაყოფიერს გახდის ჩემს ყოველდღიურ პედაგოგიურ პრაქტიკას, კიდევ უფრო მეტ ცოდნასა და გამოცდილებას მივიღებ მოსწავლეებთან თანამშრომლობისას, დავხვეწავ მოსწავლეებთან კომუნიკაციის საკუთარ უნარ-ჩვევებს. აღნიშნული კვლევა წარმატებულს გახდის ჩემს პედაგოგიურ მოღვაწეობას და დამეხმარება გავიდე იმ შედეგებზე რაც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. აღნიშნული კვლევა ჩემი აზრით, მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ჩემი სკოლის სასწავლო პროცესის სრულყოფაშიც. თითოეული მოსწავლის შემობრუნება სასწავლო პროცესის მიმართ, თითოეულ მოსწავლეში ღირსებისა და სრულფასოვნების გრძნობის ჩამოყალიბება, თანამშრომლობითი უნარებით აღჭურვა, ვფიქრობ კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი იქნება იმისათვის, რომ ჩემმა სკოლამ ღირსეული შევსება აღუზარდოს ქვეყანას.

პრობლემის იდენტიფიცირების შემდგომ, კვლევის დაწყებამდე, გადავწყვიტე **გავცნობოდი სათანადო ლიტერატურას.** გავეცანი დ. უზნაძისა და ლევ ვიგოტსკის ნაშრომებს. ასევე რევაზ ანთაძის ფსიქოლოგიურ ნაშრომებს.

1. დ. უზნაძე აღნიშნავდა, რომ ბავშვის განვითარება მხოლოდ აქტივობის პროცესშია შესაძლებელი, სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის , პირველ რიგში ბავშვი ამ პროცესის მიმართ უნდა ყოფილიყო დადებითად განწყობილი. უზნაძის აზრით: „სოციალური და მოქალაქეობრივი აღზრდა იმდენად ცოდნას არ ეყრდნობა, რამდენადაც მოქმედებასა და მის ტენდენციებს.....მოზარდის ცნობიერებაში საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდეს შეგნება, რომ იგი საზოგადიებრივი ერთეულის წევრია და მთელი მისი მოღვაწეობა ამ ერთეულის ინტერესით მოძრაობს“. ( დ.უზნაზე „პედაგოგიური თხზულებანი“ გვ.418 ) რაც მოზრდილს საინტერესოდ მიაჩნია, შეიძლება ის ბავშვისთვის სულაც არ იყოს საინტერესო. ამიტომ პედაგოგი უნდა იცნობდეს ბავშვის ინტერესთა ფსიქოლოგიას. „ ყურადღებასთან მჭიდროდ არის შეკავშირებული ბავშვის ინტერესი. იქ სადაც არ არის ინტერესი, ყურადღების კარი დახშულია და მასთან ერთად ცნობიერების ბჭენიც. ჩვენ გვესაჭიროება აქტიური ინდივიდები“ . (დ.უზნაზე „პედაგოგიური თხზულებანი“ გვ.88) ის პედაგოგებს მოუწოდებდა , რომ აქცენტი არ გაეკეთებინათ პიროვნების მხოლოდ ინტელექტუალურ განვითარებაზე, საუბრობდა ადამიანის მთლიანი

> ბუნების  მოქმედებაში მოყვანაზე. საინტერესო მასალას გავეცანი რევაზ ანთაძის ფსიქოლოგიურ  ნაშრომებში, სადაც საუბარი იყო მოსწავლეთა ყურადღებაზე. მისი აზრით „ ყურადღების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ცვლილებები. ცვლილება და სიახლე იზიდავს  მოსწავლის ყურადღებას“.(რ. ანთაძე „ფსიქოლოგიის მოკლე კურსი“ გვ.122)

მოსწავლეებში კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარების აუცილებლობაზე საუბრობს ვიგოდსკი. მისი თეორიის  მთავარი პრინციპი, მდგომარეობს იმაში, რომ მასწავლებელი აძლევს მიმართულებას და მოსწავლეები თავად აგებენ ცოდნას. როდესაც მოსწავლეები ერთად მუშაობენ, „ზოგიერთი მოსწავლე იყენებს ეგოცენტრულ მეტყველებას, რაც საშუალებას აძლებს სხვა მოსწავლეებს გაიგონ და ისწავლონ თუ რა აზროვნების  პროცესებს იყენებენ მათი თანატოლები სწორი პასუხის  მისაღებად. ერთობლივი მუშაობა ხელს უწყობს კოგნიტურ და სოციალურ განვითარებას, მოტივაციის ამაღლებას“ („განვითარებისა და სწავლი თეორიები“ გვ.110). ვიგოდსკის აზრით, როცა ბავშვები ერთად მუშაობენ, თითოეულ მათგანს შესაძლებლობა ეძლევა დააკვირდეს თანატოლს, რომელიც კოგნიტური განვითარების  ოდნავ მაღალ დონეზე იმყოფება და შესაბამისად დავალებასაც  უფრო დახვეწილი კოგნიტური პროცესების გამოყენებით ასრულებს. ვიგოდსკის და უზნაძის შეხედულებები ემთხვევა, როდესაც საუბარია მოსწავლეთა თანამშრომლობაზე, აქტიურ ქმედებებზე.  ორივე აღიარებს ამ უნარების განვითარების აუცილებლობას. ლიტერატურის გაცნობამ დიდი დახმარება გამიწია უფრო ღრმად და ახლებურად შემეხედა აღნიშნული პრობლემისათვის. ამრიგად, ჯგუფურ  სამუშაოში მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა, მათ შორის კომუნიკაცია და თანამშრომლობა რომ შედგეს, საჭიროა მოსწავლეთა ინტერესების, ემოციური მდგომარეობის გათვალისწინება. საჭიროა მოსწავლეებს შევთავაზო ცვლილებები, სიახლეები, მომეძებნა გზები მათში ინტერესის  გასაღვიძებლად  და ა. შ.

  კვლევის საწყის ეტაპზე, გადავწყვიტე ზოგადად გამერკვია მოსწავლეთა დამოკიდებულება  ჯგუფური, დამოუკიდებელი და საერთო საკლასო მუშაობის შესახებ, კლასის ორგანიზების რომელი ფორმა იყო მათთვის ყველაზე მისაღები. გამოკითხვაში მონაწილეობა, სურვილით 30-მა მოსწავლემ მიიღო. გამოკითხული მოსწავლეების პასუხები  პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა:




მოსწავლეთა უმრავლესობას მოსწონდა  დამოუკიდებელი სამუშაო, რადგანაც თვლიდნენ რომ არავისზე  არ  არიან დამოკიდებულები და შეეძლოთ საკუთარი შესაძლებლობების უკეთესად წარმოჩენა. დამოუკიდებელი სამუშაო კი ნაკლებად უწყობს ხელს მოსწავლეთა შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას. მოსწავლეთა შორის ასევე ჩავატარე წერილობითი გამოკითხვა, რომლის დროსაც მოსწავლეებს მივმართე კითხვით: "როგორია თქვენი დამოკიდებულება, თანამშრომლობითი სწავლების მიმართ?"  მოსწავლეთა 51%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, ხოლო 49%-მა დადებითი პასუხი  დააფიქსირა. (მასალა წარმოდგენილია კვლევის დასასრულს ცხრილების სახით გვ: 17-18 ).  ასე, რომ გამოკითხვის შედეგად მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, მოსწავლეთა შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის თემა გახდა.

**კვლევის დასაწყისში გამოვიყენე აღწერითი დაკვირვების მეთოდი,** რადგან ეს მეთოდი დამეხმარებოდა დაკვირვების ფოკუსის დადგენაში. შევარჩიე დაკვირვების ობიექტად მეშვიდე „ა" და მეშვიდე „გ" კლასის მოსწავლეები. შევიმუშავე შეფასების  კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უნდა განმესაზღვრა და შემეფასებინა მოსწავლეთა თანამშრომლობის  უნარ-ჩვევების განვითარების დონე. აღწერით დაკვირვებას ვაწარმოებდი ორი კვირის განმავლობაში. ვადგენდი პერიოდულად დაკვირვების ოქმებს (იხ.დანართი1 გვ: 25-28 )

აღწერითი დაკვირვების საშუალებით, გამოიკვეთნენ კონკრეტული მოსწავლეები, რომლებსაც აშკარად სუსტად ქონდათ განვითარებული თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. აღნიშნულ მოსწავლეებზე **ჩავატარე ფოკუსირებული დაკვირვება.**  დაკვირვების მიზანი იყო, გამერკვია მოსწავლეთა კონკრეტული  საჭიროებები, თანამშრომლობის უნარებთან

დაკავშირებით. ვხელმძღვანელობდი შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით და ვაწარმოებდი დაკვირვების ოქმებს. ფოკუსირებული დაკვირვების ხანგრძლივობა იყო ორი კვირა. ( იხ. დანართი 2 გვ: 28-29 ).

ფოკუსირებულმა დაკვირვებამ და წარმოებული ოქმების ანალიზმა ცხადად დამანახა, რომ აღნიშნული მოსწავლეები იცავენ ჯგუფური მუშაობის შესაბამის ქცევის წესებს, უსმენენ თანაგუნდელებს, არ უშლიან ხელს და არ აწყვეტინებენ საუბარს, გამოხატავენ პატივისცემას, მაგრამ ისინი, ერიდებიან ან თავს იკავებენ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან. არ მონაწილეობენ კამათში, უსიტყვოდ ეთანხმებიან ჯგუფის სხვა წევრებს და გადაწყვეტილებების მიღებასაც სხვებს ანდობენ, არ სურთ აიღონ პასუხისმგებლობა, არ გამოხატავენ სურვილს რომ ითანამშრომლონ მეგობრებთან.

აღნიშნულ მოსწავლეებს გავესაუბრე. მათ შევუქმენი საამისოდ თბილი და მეგობრული გარემო. მიუხედავად ამისა, ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ არ სურთ კლასელებთან ერთად ჯგუფში მუშაობა, ბავშვებმა თავი შეიკავეს პასუხისაგან. ზოგმა კი უბრალოდ მიპასუხა, რომ არ მოსწონთ კლასის ორგანიზების ეს ფორმა. აშკარად ბავშვები ერიდებოდნენ გულწრფელ პასუხებს, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, რომ **ჩამეტარებინა ანონიმური ანკეტირება და ფოკუს-ჯგუფი. ჩემი მოლოდინები ამ მეთოდების განხორციელებისას იყო შემდეგი: კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების ერთად გამოყენება დამეხმარებოდა მეტი სანდო და საინტერესო მასალის მოძიებაში, რაც რათქმაუნდა მოცემულობის უკეთესად გაანალიზების შესაძლებლობას მომცემდა. ამის საფუძველზე კი სწორად დავგეგმავდი მოქმედების სტრატეგიების თანმიმდევრობასა და განხორციელებას.**

ფოკუს-ჯგუფის ჩასატარებლად მოვემზადე წინასწარ. მოსწავლეებს მივმართე თხოვნით, ვისაც სურვილი ექნებოდა მიეღოთ მონაწილეობა. ბავშვები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულები, რომ მათი საუბარი ჩაიწერებოდა. აღნიშნული პროცესის ტექნიკურ მხარეზე ერთად ვიზრუნეთ: მოსწავლეები ტელეფონით ჩაწერდნენ საუბარს და გაფორმებით კი, თავად გავაფორმებდი წერილობით. კვლევის ეს მეთოდი მომცემდა საშუალებას უკეთ დავკვირვებოდი და მომესმინა ბავშვებისათვის როგორ უყურებდნენ თავად ამ პრობლემას, თვალნათლივ დამენახა მოსწავლეთა განწყობები და ემოციები. ფოკუს-ჯგუფის მიზანი იყო, ყველა მოსწავლისათვის მიმეცა საშუალება გამოეთქვა საკუთარი აზრი და დამენახა მათი აზროვნების პროცესი, სულიერი მდგომარეობა. მოსწავლეები რომ უფრო გახსნილები და თამამები ყოფილიყვნენ შევეცადე გარემო მაქსიმალურად მეგობრული და კეთილგანწყობილი ყოფილიყო. წინასწარ შევიმუშავე კითხვები, რომლებსაც გამოვიყენებდი ფოკუს-ჯგუფის დროს, რომელთა საშუალებითაც შევძლებდი ყველა საკვლევ კითხვაზე პასუხის მიღებას.

წინაწარ განსაზღვრულ დროს შეიკრიბნენ მოსწავლეები. ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობდა 8 მოსწავლე. სამუშაო პროცესი დაახლოვებით 1 საათი გაგრძელდა. ბავშვები ხალისით პასუხობდნენ ჩემს კითხვებს. ფოკუს-ჯგუფის

მონაცემებზე დაყრდნობით გაირკვა, რომ  მოსწავლეები არ არიან დარწმუნებულები საკუთარ შესაძლებლობებში. ფიქრობენ, რომ ვერ შეძლებენ ჯგუფის დახმარებას, ამიტომ აღარ უშლიან ხელს მეგობრებს მუშაობაში. უჭირთ საკუთარი აზრის გამოთქმა და ამჯობინებენ ჩუმად ყოფნას. რამოდენიმე მოსწავლემ გულდაწყვეტით აღნიშნა, რომ ბევრჯერ ქონიათ მართებული მოსაზრებები, მაგრამ მეგობრებისთვის არ გაუზიარებიათ რადაგანაც გამბედაობა არ ეყოთ ....იგრძნობოდა გულდაწყვეტა მოსწავლეთა ხმაში. მოულოდნელად საუბარში გაირკვა ისიც, რომ არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლეები ერთმანეთს ადანაშაულებენ , თუ სასურველ ქულას ვერ მიიღებენ. ამიტომ ასეთი რამ, თავიდან რომ  აიცილონ  ურჩევნიათ „საქმე არ გაუფუჭონ“ თანაგუნდელებს და „თავიანთთვის“ იყვნენ....ჩემს შეკითხვაზე, რომ  განმსაზღვრელი შეფასების მომენტი მათ ძაბავდა თუ არა, მოსწავლეების პასუხი იყო დადებითი...  ( იხ. დანართი 3 გვ: 29-32)

**ფოკუს-ჯგუფმა და  ანონიმურმა ანკეტირებამ შესაძლებლობა მომცა  გამეკეთებინა არსებული მონაცემების  ანალიზი**, რომლის  საფუძველზეც გამოვიტანე დასკვნა, რომ  მოსწავლეთა გარკვეულ რაოდენობას არ  მოსწონს ჯგუფური სამუშაო, თავს არ გრძნობს კომფორტულად, რადგანაც:

1 **არიან გაუბედავები, უჭირთ თამამად საკუთარი აზრის გამოხატვა**

2 **არ არიან თავდაჯერებულები, ფიქრობენ რომ არ შეუძლიათ თანაგუნდელთა დახმარება**

3 **თვლიან  რომ,  ჯგუფს წარმატებაში და სასურველი ქულის აღებაში ხელი რომ არ შეუშალონ „საუკეთესი გამოსავალია“ ჩუმად ყოფნა**

**ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ჩამოვაყალიბე ჩემი  მიზნები:**

1) **შევქმნა მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო, რითაც დავძლევ მათ გაუბედაობას, ხელს შევუწყობ რომ შეძლონ საკუთარი აზრის ღიად და თავისუფლად დაფიქსირება.**
2) **შევთავაზებ შესაბამის სასწავლო სტრატეგიებს, რითაც ავამაღლებ მათ თავდაჯერებულობას და განვუმტკიცებ საკუთარი ძალების რწმენას.**
3) **დავეხმარები მოსწავლეებს, შეძლონ და გაიაზრონ, რომ შეფასების ერთადაერთი მიზანი და ფუნქცია მხოლოდ მათი წარმატებისა და წინსვლის ხელშეწყობაა.**
   **ამ უნარ-ჩვევების განმტკიცების შედეგად მოსწავლეები სრულყოფილად შეძლებენ კომუნიკაციას და თანამშრომლობას საკლასო გარემოში, სკოლაში და სკოლის გარეთ თანატოლებთან, შემდგომ კი ზოგადად საზოგადოებაში. სწორედ ამ მონაცემებიდან გამომდინარე დავგეგმე მოქმედების სტრატეგიების განხორციელება.**

**მოქმედების სტრატეგიების განვითარება:** გავესაუბრე კოლეგებს, ყურადღებით მოვისმინე მათი პროფესიული რჩევები. მოცემულობიდან გამომდინარე, გადავწყვიტე განმეხორციელებინა **პირველი ინტერვეცია.** მოსწავლეებს შევთავაზე წყვილებში მუშაობა და სხვადასხვა სირთულის სიტუაციური ამოცანები. ჩემი მიზანი იყო, კვლევის საწყის ეტაპზე, **მოსწავლეები, რომლებსაც სუსტად ქონდათ განვითარებული კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევები, მომემზადებინა ჯგუფური სამუშაოებისათვის.** სიტუაციური ამოცანა დისკუსიის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ეფექტურად უწყობს ხელს, მოსწავლეთა შორის ინდივიდუალურ და თანამშრომლობით უნარების განვითარებას, სწორედ ამიტომ დასაწყისისთვის მართებულად მივიჩნიე მისი გამოყენება. დავგეგმე საგაკვეთილო პროცესში, პერიოდულად გამომეყენებინა წყვილებში მუშაობა. ვცდილობდი აქტიური მოსწავლეები, რომლებსაც უფრო მეტად ქონდათ თანამშრომლობის უნარები განვითარებული დამესვა ისეთ ბავშვებთან, რომლებსაც ნაკლებად ქონდათ ეს უნარები განვითარებული. წყვილებს ვთავაზობდი თავდაპირველად მარტივ და შემდგომ უკვე სხვადასხვა სირთულის სიტუაციურ ამოცანებს. ეს სტრატეგია მოითხოვდა მოსწავლეებისაგან დიალოგს, საკუთარი აზრების დაფიქსირებას, სხვადასხვა ვერსიებისა და გზების მოფიქრებას პრობლემის გადასაჭრელად, წყვილში მუშაობისას მოსწავლეს ნაკლებად ქონდა საშუალება თავი აერიდებინა სამუშაოსთვის. ამ დროს ორივე მოსწავლე თანაბარუფლებიან პოზიციაში იმყოფებოდა. ბავშვებს ვამხნევებდი სიტყვიერი, დადებითი კომენტარებით...თვალს ვადევნებდი რომელიმე მოსწავლე არ გამხდარიყო დომინანტი წყვილში მუშაობისას. გარკვეული პერიოდის შემდეგ აშკარა გახდა, რომ მოსწავლეებმა დაიწყეს თანამშრომლობა მეწყვილესთან, საკუთარი აზრების გამოხატვა, ნელ-ნელა მაგრამ მაინც, ამჟღავნებდნენ თავდაჯერებულობას, ყურადღებით უსმენდნენ და ითვალისწინებდნენ ერთმანეთის აზრებს. ისინი უკვე ცდილობდნენ დაეცვათ საკუთარი პოზიციები.

როდესაც ჩემი დაკვირვების ქვეშ მყოფი მოსწავლეები, წყვილებში მუშაობისას გააქტიურდენენ და უკვე თამამად თანამშრომლობდნენ საკუთარ მეწყვილესთან, კვლევის შემდეგ ეტაპზე დავგეგმე და განვახორციელე მორიგი ინტერვეცია.

რადგანაც, ჩემი კვლევის მიზანი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებაა, გადავწყვიტე **მეორე ინტერვენციის** განხორციელებისას გამომეყენებინა მოსწავლეთა კოლაბორაციული ინტერაქცია. ამ დროს მასწავლებლის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად ერთადერთი გზა თანაკლასელებთან (თანაგუნდელებთან) თანამშრომლობაა და ერთის გამარჯვება ნიშნავს ყველას გამარჯვებას, ერთობლივი მიზნის მისაღწევად საჭიროა გუნდური პასუხისმგებლობა, ამისათვის კი შესანიშნავი აქტივობაა ისევ და ისევ დისკუსია. ის მონაწილეებს ინტერპრეტაციის თავისუფლებასა და აზრის შეცვლის საშუალებას აძლევს. რადგან კვლევის ანალიზისას გამოიკვეთა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ჩემს მოსწავლეებში: გაუბედაობა, საკუთარი თავის რწმენის ნაკლებობა და ფიქრი, რომ ვერ შეძლებენ მეგობრების დახმარებას, მოქმედების მეორე ეტაპზე, დისკუსიების მრავალი ხერხიდან, ამჯერად შევარჩიე ეგრეთწოდებული „მოზაიკა“, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში: მასწავლებელი ყოფს დავალებას ნაწილებად, 3-4 კაციან ჯგუფებში. თითოეულ წევრს მხოლოდ დავალების ერთ ნაწილს აძლევს. შემდეგ იქმნება ახალი ჯგუფები იმ წევრებისაგან, რომლებსაც ერთი და იმავე დავალების ნაწილი აქვთ მიცემული და ჯგუფში იმართება დისკუსია. საკითხის განხილვის შემდეგ, თითოეული მოსწავლე უბრუნდება თავის პირვანდელ ჯგუფს. ამ შემთხვევაში ყველა მოსწავლის მიერ მიტანილი იდეები და ინფორმაცია თანაბრად მნიშვნელოვანია დავალების შესასრულებლად, რაც ჯგუფის წევრებს ერთმანეთზე დამოკიდებულს ხდის. დისკუსიის ეს ფორმა თანაბარ პასუხისმგებლობას აკისრებს ჯგუფის ყველა წევრს. ჯგუფის წევრები ყურადღებით უსმენენ ერთმანეთს, თითოეული მოსწავლის აზრი და მიტანილი ინფორმაცია ჯგუფში ხდება მნიშვნელოვანი. ყველა დამოკიდებულია ერთმანეთზე, სხვანაირად გუნდი ვერ შეძლებს შედეგზე გასვლას. გარდა ამ ყველაფრისა, „მოზაიკა“ ნაკლებ საშუალებას აძლევს მოსწავლეს თავი აარიდოს სამუშაოს, გაექცეს პასუხისმგებლობას და „იყოს თავისთვის“. ვფიქრობ, ეს ყველაზე უკეთესი სტრატეგია იქნებოდა ამ ეტაპზე იმისათვის, რომ მოსწავლეებს დაენახებინათ მეგობრებისათვის თავიანთი შესაძლებლობები, გასჩენოდათ საკუთარი თავის რწმენა, ეგრძნოთ რომ ჯგუფი მათზეა დამოკიდებული და მათაც შეუძლიათ ჯგუფის წარმატებაში წვლილის შეტანა, შესაბამისად განუვითარდებოდათ პასუხისმგებლობის გრძნობა. შემუშავებული მქონდა რათქმაუნდა შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებიც. (იხ. დანართი 4 გვ: 33 )

ამრიგად, **ჩემი მოლოდინები ამ ინტერვენციის შედეგად იყო ის,** რომ დამეძლია მოსწავლეთა გაუბედაობა, ეგრძნოთ თავი ჯგუფის საჭირო წევრებად. მოეპოვებინათ თანაბარი პატივისცემა და ადგილი თანაგუნდელთა შორის, ასევე

ჩემს მიზანს წარმოადგენდა:

**1) საგაკვეთილო მასალის უკეთ გაგება, გამოყენება, ანალიზი, შეფასება;**

**2) სწავლა სხვების მოსაზრებებსა და შეხედულებების საფუძველზე;**

**3) საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების შეძენა;**

**4) საკუთარი თავისადმი რწმენის განმტკიცება.**

აღნიშნულ ინტერვენციას პერიოდულად ვახორციელებდი დაახლოვებით ერთი თვის განმავლობაში. დასაწყისისთვის ჩვენ დაგვჭირდა გარკვეული დრო , რომ მოსწავლეებს ესწავლათ დისკუსია „მოზაიკის“ ჩატარება. ამ სტრატეგიამ სამუშაო პროცესი აქტიური და ხალისიანი გახადა. ვზრუნავდი, რომ საკლასო გარემო ურთიერთპატივისცემაზე და მეგობრობაზე დაფუძნებული ყოფილიყო. მოსწავლეებს ვამხნევებდი სიტყვიერი წამახალისებელი კომენტარებით. ყურადღება და განსაკუთრებული სიფრთხილე იყო საჭირო.... მოსწავლეს უნდა თავისუფლად ეგრძნო თავი, ამ ეტაპზე მისი ყველა მოსაზრება მისაღები უნდა ყოფილიყო, თუნდაც მცდარი მითითებების გაკეთება დიდი სიფრთხილით უნდა გამეკეთებინა...იმისათვის, რომ მოსწავლეებს კიდევ უფრო თანაბარუფლებიან წევრებად ეგრძნოთ თავი, აღარ ვიყენებდით სიტყვა „ლიდერ“-ს. მის ნაცვლად ვამბობდით: “მოსწავლე, რომელიც გააკეთებს შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას“ ინტერვენციის საწყის ეტაპზე, მოსწავლეებს, რომლებსაც ნაკლებად ქონდათ თანამშრომლობის უნარები განვითარებული შედარებით მარტივ და მოკლე მოცულობის დავალებებს ვაძლევდი იმისათვის , რომ ადვილად გაერთვათ თავი და ჯგუფის დახმარება ადვილად შეძლებოდათ. მთავარი ჩემი მიზანი ამ ეტაპზე იყო ის, რომ მოსწავლეებს გასჩენოდათ საკუთარი თავის რწმენა, დაეძლიათ გაუბედაობა და თამამად გამოეთქვათ საკუთარი აზრები. ეჩვენებინათ ჯგუფის წევრებისათვის საკუთარი შესაძლებლობები ისე, რომ ემოციურად ნაკლებად დაძაბულები ყოფილიყვნენ. გამოვხატავდი პატივისცემას მათი მოსაზრებების მიმართ. ამით ვცდილობდი საკუთარი ქცევებით მაგალითი მიმეცა ჩემი მოსწავლეებისათვის. ეტაპობრივად ვართულებდი დავალებებს და ვზრდიდი მის მოცულობას. რომელიმე მოსწავლის დომინანტის პოზიციაზე ყოფნა, რომ ამეცილებინა თავიდან, მოვახდინე ჯგუფის წევრების გამოსვლების დროის რეგლამენტირება. ვაწარმოებდი დაკვირვების დღიურს, სადაც შემქონდა კონკრეტულ მოსწავლეთა მონაცემები, რომლებიც გამოირჩეოდნენ სუსტი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარებით. ( იხ. დანართი 5 გვ: 34-36 ) ბავშვები აქტიურად ჩაერთვნენ სამუშაო პროცესში. გრძნობდნენ პასუხისმგებლობას ჯგუფისა და ერთმანეთის წინაშე, თავიდან გაუბედავად, მაგრამ შემდეგ უკვე, როცა მოსწავლეებმა იგრძნეს რომ თანაგუნდელები მის მიტანილ სამუშაოს ელოდებოდნენ, მის გარეშე ვერ შეძლებდნენ სამუშაოს წარმატებით შესრულებას, თავი საჭიროდ იგრძნეს, გახდნენ ხალისიანები და თამამები....აშკარად გამოხატავდნენ თანამშრომლობის

სურვილს. მონდომებით უხსნიდნენ მეგობრებს საკითხებს...თვითონაც ყურადღებით უსმენდნენ... შევამჩნიე, რომ დასვენებაზეც აღარ ისხდნენ ცალკე.

დაკვირვების დღიურების ანალიზმა, საშუალება მომცა გამეკეთებინა სათანადო დასკვნა. განხორციელებულმა სტრატეგიამ შედეგი გამოიღო. დიკუსია „მოზაიკა“ დაეხმარა მოსწავლეებს დაეძლიათ გაუბედაობა, იგრძნეს საკუთარი თავის საჭიროება ჯგუფისა და მეგობრების წინაშე. გაუჩნდათ საკუთარი თავის და შესაძლებლობების რწმენა. ისინი გამოხატავდენენ საკუთარ აზრებს, ყურადღებით უსმენდნენ ერთმანეთს... კამათობდნენ, მოსწავლეები, „შორიდან“ აღარ უყურებდნენ თანაგუნდელებს, ამაღლდა მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში. თანდათან მოსწავლეებს ვთავაზობდი დისკუსის სხვა ფორმებსაც, ასევე სწავლების სხვადასხვა სტრატეგიებს, სწავლის პროცესი რომ მოსაწყენი და ერთფეროვანი არ გამხდარიყო. პერიოდულად ჯგუფური სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ვურიგებდი კითხვარებს რომლის შინაარსობრივი მხარე შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

1. „კმაყოფილი ხარ დღევანდელი ჯგუფური მუშაობით?
2. თავს გრძნობდი თანასწორუფლებიან წევრად?
3. რა მოგეწონა /არ მოგეწონა ყველაზე მეტად?
4. რა გააკეთე შენი ჯგუფის დასახმარებლად?
5. რას გააკეთებ მომავალში შენი გუნდის წარმატებისთვის?
6. ხარ შენს ძალებში დარწმუნებული? დიახ/არა რატომ ?“

მოსწავლეები ხალისით ავსებდნენ კითხვარებს, კითხვარების ანალიზი ძალიან დამეხმარა გამეგო რამდენად შედეგიანი იყო ჩემს მიერ განხორციელებული სტრატეგია. დაკვირვების დღიურების მონაცემების და კითხვარების ანალიზის შედეგები ერთმანეთს დაემთხვა. ბავშვები კმაყოფილები იყვნენ, ისინი საკუთარ ძალებში და შესაძლებლობებში დარწმუნდნენ.

**მესამე ინტერვენცია,** რომელიც განვახორციელე პრაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, არის განმავითარებელი შეფასების მეტი ინტენსივობით გამოყენება.

ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში სისტემატიურად ვიყენებ როგორც, განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს, მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. ზოგადად შეფასება სწავლისა და სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია.ის საშუალებას მაძლევს მივიღო ინფორმაცია ჩემი მოსწავლეების წინსვლის, მიღწევებისა და პრობლემების შესახებ. კვლევის დასაწყისში, გავმეორდები და ავღნიშნავ, რომ ფოკუს-ჯგუფთან მუშაობისას, მოულოდნელად გამოიკვეთა აზრი, რომ მოსწავლეების გარკვეული ნაწილი ზოგჯერ თავს იკავებდა საკუთარი აზრის დაფიქსირებისაგან და ჯგუფთან თანამშრომლობაზე, სწორედ იმიტომ, რომ ჯგუფისთვის ხელი არ

შეეშალათ სასურველი ქულის აღებაში. ამ მოცემულობამ გადამაწყვეტინა, რომ მუშაობის პროცესში, გარკვეული პერიოდი,უპირატესობა მიმენიჭებინა განმავითარებელი შეფასების გამოყენებისათვის, რადგანაც განმავითარებელი შეფასების მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეს ამა თუ იმ უნარების დახვეწაში, სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავებით. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფორმით გაკეთებული კომენტარების დახმარებით მოსწავლე მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას განვითარებასა და საკუთარი სწავლის გაცნობიერებაში დაეხმარება. ვინაიდან განმავითარებელი შეფასება მოსწავლის განვითარებასა და სწავლაზეა ორიენტირებული, მისი გამოყენების დროს სავალდებულო არ არის ქულის დაწერა. **ჩემი მოლოდინები ამ სტრატეგიის განხორციელების შემდეგ იყო: შეფასების ეს მეთოდი გაუბედავ მოსწავლეებს, სერიოზულ დახმარებას გაუწევდა საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში, ასევე მოუხსნიდა ემოციურ დაძაბულობასაც.** სამუშაო პროცესში, განმავითარებელ შეფასებებს ვაკეთებდი როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი კომენტარების სახით. კომენტარების საშუალებით ზუსტად შემეძლო მოსწავლისთვის კონკრეტული რჩევა მიმეცა, რა გამოსდიოდათ კარგად, რომელი უნარის დახვეწა და განვითარება ჭირდებოდათ.

მოვიყვან გამოყენებული კომენტარებიდან რამოდენიმე მაგალითს, მაგალითად: „შენ ძალიან ყურადღებით უსმენდი მეგობარს, საინტერესო იქნებოდა შენი აზრიც რომ გაგეზიარებინა მისთვის“, „ დღეს შენ ძალიან კარგად ითანამშრომლე თანაგუნდელებთან და შეძელი მათი დახმარება,მომავალში იქნებ პრეზენტაციაც სცადო, ვფიქრობ შენ ეს შესანიშნავად გამოგივა“, „ყოჩაღ! შესანიშნავად შეძელი შენი აზრის დაცვა, ასევე მომეწონა, როგორ ყურადღებით უსმენდი შენს მეგობარს, რომელსაც შენგან განსხვავებული პოზიცია ქონდა“.. და სხვა

მოსწავლეების პრეზენტაციას, განსხვავებულ მოსაზრებებს ყურადღებით და პატივისცემით ვუსმენდი, არასოდეს ვაწყვეტინებდი როგორც ყოველთვის, პირველ რიგში საკუთარი ქცევებით მინდოდა მოსწავლეებისათვის მაგალითი მიმეცა. ორი კვირის განმავლობაში ვიყენებდი მხოლოდ განმავითარებელ შეფასებებს. ეს სტრატეგია ნამდვილად დაეხმარა ჩემს მოსწავლეებს ემოციების დაძლევაში, დაენახათ საკუთარი როგორც წინსვლა, ასევე საჭიროებები. შემდგომ ეტაპზე დავიწყე განმსაზღვრელი შეფასებების გამოყენებაც, რადგანაც შეფასების ორივე ფორმას თავისი დატვირთვა და საჭიროება გააჩნია.

მოსწავლეებისათვის შეფასების მომენტი რომ ღელვის მიზეზი არ ყოფილიყო, მოსწავლეებს გავაცანი შეფასების კრიტერიუმები. ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ვთხოვდი გაეკეთებინათ თვითშეფასება და ურთიერთშეფასებები. გამაკვირვა მათმა ობიექტურობამ და სამართლიანობამ.... განსაკუთრებით ჩემი დაკვირვების ქვეშ მყოფ მოსწავლეებს ვთხოვდი მონაწილეობას. ისინი ჯერ გაუბედავად, მაგრამ მაინც აფასებდნენ საკუთარ თავს, მეგობრებს..შეფასების პროცესში მოსწავლეთა გარკვეულ დონეზე ჩართვამ ბავშვები ძალიან გაახალისა

საბოლოო ჯამში კი ამ ყველაფერმა, მოსწავლეები შეფასების პროცესის მიმართ დადებითად განაწყო.

კვლევის ბოლო ეტაპზე, მოსწავლეებს შევთავაზე  დისკუსიის  სხვა ფორმებიც, ვცდილობდი, რომ სწავლების სხვადასხვა სტრატეგიებით  გამდიდრებული და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო შემექმნა. მოსწავლეებს ვთხოვე დაეწერათ საკუთარ თავზე  პატარა ბარათი, სათაურით:  „ის , რაც არ იცი ჩემს შესახებ“. ეს საკმაოდ საინტერესო აქტივობა აღმოჩნდა. მოსწავლეები დიდი ინტერესით უსმენდნენ ერთმანეთს, ბევრი მსგავსება და განსხვავება იპოვეს ერთმანეთში. აღმოჩნდა ,რომ ბევრ მათგანს ერთნაირი სპორტის სახეობა, მუსიკა, გატაცებები ქონდათ....სალაპარაკო თემებიც გამოუჩნდათ, რამაც კიდევ უფრო დაახლოვა ისინი. რათქმაუნდა მოსწავლეებს შორის თანამშრომლობის უნარების განვითარება უამრავი საინტერესო სტრატეგიით არის შესაძლებელი, თუმცა მე გადავწყვიტე, რომ სწორედ ეს კონკრეტული სტრატეგიები გამომეყებენინა, აღნიშნული თანმიმდევრობით.

დასასრულს,  მოქმედების სტრატეგიების განხორციელების შეგეგად მიღებული შედეგების საერთო ანალიზის  და შეფასების მიზნით კიდევ ერთხელ მოვახდინე მოსწავლეთა  გამოკითხვა. **ერთმანეთს შევადარე კვლევის დასაწყისში და მოქმედების სტრატეგიების განხორციელების შემდეგ  მიღებული მოსწავლეების პასუხები**...პირველი  გამოკითხვის დროს გამოყენებული კითხვა უცვლელი ფორმით შევთავაზე მოსწავლეებს.  **მიღებული მასალის გაშიფვრის და ანალიზის შედეგად მიღებულ მოცემულობებს  მივანიჭე შესაბამისი კოდები და წარმოვადგინე ცხრილის სახით:**

1. 7 „ა“ კლასი
2. 7  „გ“ კლასი
3. დამოკიდებულება თანამშრომლობითი სწავლებისადმი კვლევის დასაწყისში
4. დამოკიდებულება თანამშრომლობითი სწავლებისადმი კვლევის დასასრულს

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| **კლასი** | **აკადემიური მაჩვენებელი** | **დამოკიდებულება თანამშრომლობითი სწავლების მიმართ კვლევის დასაწყისში** | **დამოკიდებულება თანამშრომლობითი სწავლების მიმართ კვლევის დასასრულს** |
| 1. 7ა | 1 დაბალი | 1 სრულიად დადებითი | 1 სრულიად დადებითი |

| | | | |
|---|---|---|---|
| **2.** 7ბ | **2** საშუალო | **2** დადებითი | **2** დადებითი |
| | **3** მაღალი | **3** მიჭირს პასუხის გაცემა | **3** მიჭირს პასუხის გაცემა |
| | | **4** სრულიად უარყოფითი | **4** სრულიად უარყოფითი |

| **გამოკითხული მოსწავლეები** | **კლასი** | **აკადემიური მაჩვენებელი** | **კვლევის დასაწყისი** | **კვლევის დასასრული** |
|---|---|---|---|---|
| 0.0.1 | 1 | 1 | 3 | 2 |
| 0.0.2 | 1 | 2 | 2 | 1 |
| 0.0.3 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 0.0.4 | 1 | 1 | 4 | 2 |
| 0.0.5 | 2 | 2 | 4 | 2 |
| 0.0.6 | 2 | 2 | 3 | 2 |
| 0.0.7 | 2 | 1 | 1 | 1 |
| 0.0.8 | 1 | 1 | 3 | 1 |
| 0.0.9 | 1 | 3 | 2 | 2 |
| 0.10 | 1 | 3 | 3 | 2 |
| 0.11 | 2 | 3 | 2 | 1 |
| 0.12 | 1 | 3 | 2 | 2 |
| 0.13 | 1 | 1 | 4 | 2 |
| 0.14 | 2 | 2 | 4 | 2 |
| 0.15 | 1 | 3 | 2 | 1 |
| 0.16 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 0.17 | 2 | 1 | 4 | 2 |
| 0.18 | 2 | 2 | 3 | 2 |
| 0.19 | 2 | 2 | 3 | 2 |
| 0.20 | 1 | 3 | 1 | 1 |
| 0.21 | 1 | 1 | 4 | 2 |
| 0.22 | 1 | 1 | 4 | 2 |
| 0.23 | 1 | 1 | 3 | 2 |
| 0.24 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 0.25 | 1 | 3 | 1 | 1 |
| 0.26 | 1 | 3 | 1 | 1 |
| 0.27 | 1 | 3 | 2 | 2 |
| 0.28 | 2 | 2 | 3 | 2 |
| 0.29 | 2 | 2 | 4 | 2 |
| 0.30 | 1 | 2 | 3 | 2 |

კვლევის დასაწყისში, თუ მოსწავლეთა 51 %-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა, კვლევის დასასრულს მოსწავლეთა 66%-მა დააფიქსირა, რომ თანამშრომლობითი სწავლების მიმართ დადებითადაა განწყობილი. ხოლო

დანარჩენი 34% ბავშვების პასუხი იყო „სრულიად  დადებითად“.  მოსწავლეთა შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებამ დადებითი გავლენა იქონია სასწავლო პროცესზე, რაც უკვე დაკვირვების გარეშეც აშკარა იყო. ამრიგად: ჩემს მიერ განხორციელებული კვლევა გრძელდებოდა 4 თვე, 2016 წლის

1 ნოემბრიდან, 2017 წლის  25 თებერვლამდე. კვლევისას განხორციელებული მოქმედების სტრატეგიები (სიტუაციური ამოცანები, დისკუსია „მოზაიკა“ ) შედეგიანი აღმოჩნდა. მოსწავლეებმა დაძლიეს გაუბედაობა, თანდათან  დაიწყეს საკუთარი აზრების  თამამად და  თავისუფლად დაფიქსირება. შეიძინეს და განამტკიცეს საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა,  რომ თანაგუნდელების დახმარება და ჯგუფის წარმატებაში წვლილის შეტანა მათაც შეეძლოთ. საგრძნობლად ამაღლდა მოსწავლეთა ჩართულობის დონე სასწავლო პროცესში. დადებითი შედეგი გამოიღო, მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილში ემოციური ფონის შესასუსტებლად (განსაზღვრული პერიოდით) მხოლოდ განმავითარებელი შეფასებების გამოყენებამ... მოსწავლეთა ჩართვამ შეფასების პროცესში, თვითშეფასებებისა და ურთიერთშეფასებების შედეგად, მოსწავლეებში რომლებიც კვლევის დასაწყისში, სწორედ არასასურველი შეფასების გამო არ თანამშრომლობდნენ  მეგობრებთან  და  უფრო აქტიურ და წარმატებულ მოსწავლეებს ანდობდნენ ყველაფერს, მიხვდნენ, რომ შეფასების მიზანი მხოლოდ მათი საჭიროებების გამოვლენა და დახმარება იყო. კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებამ, როგორც მოსალოდნელი იყო გააუმჯობესა მოსწავლეთა აკადემიური მონაცემები, რასაც ადასტურებდა ჩატარებული  შემაჯამებელი წერების ანალიზის  შედეგები. სასწავლო გარემო გახდა ბევრად  უფრო კომფორტული და მეგობრული.  ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა  დამეხმარა გავსულიყავი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ერთ-ერთ  მნიშვნელოვან  მიზანზე, რასაც მოსწავლეთა შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება ქვია. გადავწყვიტე ჩემი გამოცდილება გამეზიარებინა ჩემი კოლეგებისათვის და მომესმინა მათი მხრიდან უკუკავშირი.

**მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, პროფესიული ეთიკის კოდექსის მნიშვნელოვანი ნაწილია-კოლეგიალობა, რაც გულისხმობს მუდმივ მზადყოფნას თანამშრომლობისათვის, პედაგოგიური გამოცდილების, ახალი იდეების გაზიარებისათვის....** საბოლოო ჯამში კი ეს ყველაფერი ხელს უწყობს სკოლის წინსვლასა და განვითარებას. პედაგოგების  ერთმანეთის მიმართ  პოზიტიური და თანამშრომლობითი დამოკიდებულება, კარგი მაგალითია  აღსაზრდელებისა და და მათი მშობლებისათვის. სკოლის პედაგოგიურ  კოლექტივში თბილი და მეგობრული კლიმატი ძალზე მნიშვნელოვანია სასწავლო დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ჩემს სკოლაში ნამდვილად არის  თანამშრომლობაზე და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული სასწავლო გარემო. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის  თითქმის

ყველა ეტაპზე, მქონდა პროფესიული დიალოგები კოლეგებთან. პროფესიული დიალოგის დროს, ვღებულობდი მეტად საინტერესო  რჩევებს და ინსტრუქციებს. პედაგოგიური კვლევა წარვადგინე 2017 წლის 23 მარტს გამართულ კათედრის სხდომაზე (იხ.დანართი 6 გვ: 36-37).
კოლეგებმა  ყურადღებით მომისმინეს...გამოთქვეს საკუთარი შეხედულებები და შეფასებები. აღნიშნეს, რომ აუცილებლად გამოიყენებდნენ  იმ მოქმედებების სტრატეგიებს,  რაც ჩემს მიერ იქნა გამოყენებული კვლევისას, თუ მსგავს პრობლემას შეხვდებოდნენ  საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში. მე მადლობა გადავუხადე ყურადღებისა და თანადგომისთვის . მათი მხრიდან ასეთი მხარდაჭერა კიდევ უფრო მეტი სტიმული იყო ჩემთვის, რომ მეტი მონდომებით და შემართებით გამეგრძელებინა საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობა. მეტი გამბედაობითა და  თავდაჯერებულობით მიმეღო ნებისმიერი ახალი გამოწვევა, დამენერგა ჩემს პრაქტიკაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი ახალი მიდგომა  და შეთავაზება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ეროვნული სასწავლო გეგმა -საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2009 წ.

2) დიმიტრი უზნაძე „პედაგოგიური თხზულებანი“ თბილისი 2005 წ.

3) რევაზ ანთაძე „ფსიქოლოგიის მოკლე კურსი“ 1981 წ

4) „განვითარებისა და სწავლის თეორიები“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2010 წ.

5) „სწავლება და შეფასება“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2010 წ.

6) ლევ ვიგოტსკი „აზროვნება და მეტყველება“ 1934 წ

7) მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

## პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის რეფლექსია

## თემა: მოსწავლეთა შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის თემის შერჩევისას, ვეყრდნობოდი საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის 41-ე მუხლის, შემდეგ პუნქტებს:

**ა. თ)** სასწავლო პროცესისათვის იმ ტიპის აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც მოსწავლეებს განუვითარებს სოციალურ და სამოქალაქო კომპეტენციებს-- საკუთარი აზრის დაფიქსირება და დაცვა, განსხვავებული აზრის პატივისცემა და გათვალისწინება, ტოლერანტობა, კონფლიქტების პრევენცია და მოგვარება, დემოკრატიული პრიციპების აღიარება და სხვა...

**ბ. ე)** საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლის პროცესში ყველა მოსწავლის

(მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით) მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა ჯგუფურ მუშაობებში...

აღნიშნული კვლევის ანგარიში წარვადგინე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, პრეზენტაციის სახით. მიღებული გამოცდილების გაზიარების, ასევე კოლეგების მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით.

მოსწავლეთა შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში წარმოქმნილმა საჭიროებამ, გადამაწყვეტინა ამ საკითხზე კვლევის ჩატარება. ეს გაზრდიდა ჩემს პედაგოგიურ გამოცდილებას და ამასთანავე საჭიროების შემთხვევაში შევძლებდი კოლეგების დახმარებასაც.

საკვლევი თემის იდენტიფიცირების შემდეგ, გავეცანი სათანადო ლიტერატურას.

კვლევის წარმოებისას განვახორციელე პედაგოგიური კვლევის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდები. გამოყენებული მეთოდების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამოდენიმე პრობლემა, რომელიც ჩემს მოსწავლეებს ხელს უშლიდა კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებაში: 1) არიან გაუბედავები, უჭირთ საკუთარი აზრის დაფიქსირება;

2) ნაკლებად თავდაჯერებულები არიან, ფიქრობენ რომ თანაგუნდელების დახმარებას ვერ შეძლებენ; 3) არ სურთ მეგობრებს ხელი შეუშალონ „სასურველი ქულის“ აღებაში.
მოცემულობიდან გამომდინარე ,უპირველესად დავგეგმე საკუთარი

პროფესიული გამოცდილების სრულყოფის მიზნით, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნისა და დახვეწის მიზნით, გამევლო ტრენინგი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. (რაც განვახორციელე კიდეც, გავიარე ტრენინგი, მოდული: „სწავლების მეთოდიკა საქართველოს ისტორიის მაგალითზე, უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე“), სისტემატიურად კოლეგებთან ვაწარმოებდი პროფესიულ დიალოგებს.

ვინაიდან, ჩემი მოსწავლეების ერთ-ერთი პრობლემა გაუბედაობა იყო, კიდევ უფრო მეტი გულისხმიერებით და ყურადღებით ვუსმენდი მათ, ვაკონტროლებდი ჩემს ხმას და გამომეტყველებას. ამის ფონზე, პირველ ეტაპზე ჩემს მოსწავლეებს შევთავაზე მუშაობა წყვილებში, რომ მომემზადებინა ისინი ჯგუფური სამუშაოებისათვის. ვთავაზობდი სხვადასხვა სირთულის სიტუაციურ ამოცანებს, ამ სტრატეგიის საშუალებით დავძლიე მოსწავლეთა გაუბედაობა.

მეორე ეტაპზე, მოსწავლეებში საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა რომ გამეძლიერებინა, დისკუსიის უამრავი ფორმებიდან შევარჩიე ერთ-ერთი , „მოზაიკა“. დისკუსიის ამ ფორმას პედაგოგები ნაკლებად იყენებენ, ფიქრობენ, რომ ხმაურიანია და ბევრი დრო მიაქვს.... მართალია მოსწავლეებს ნამდვილად ჭირდებათ დრო, რომ ისწავლონ მუშაობა, მაგრამ შედეგები საოცარია... მოსწავლე გრძნობს, რომ მთელი ჯგუფი მას ელოდება, მის გარეშე თანაგუნდელები ვერ იმუშავებენ, ჯგუფის წევრები ყურადღებით უსმენენ მის ახსნილს, მოსწავლე გრძნობს რომ საჭიროა და შეუძლია დახმარების გაწევა მეგობრებისათვის. პასუხისმგებლობას ყველა თანაბრად ინაწილებს , ერთად ცდილობენ დასახული მიზნის მიღწევას. მაღლდება მოსწავლეთა ჩართულობა, საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა, სასწავლო გარემოც მეტად ხალისიანი და კომფორტული ხდება.

მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა, თავს არიდებდა მეგობრებთან თანამშრომლობას იმ მიზეზით, რომ ხელი არ შეეშალათ მათთვის სასურველი ქულის მიღებაში. ამ პრობლემის გადასაჭრელად კვლევის საწყის ეტაპზე გარკვეული დროის განმავლობაში ვიყენებდი მხოლოდ განმავითარებელ შეფასებებს. შეფასების ეს ფორმა საშუალებას მაძლევდა დროულად მიმეწვდია ინფორმაცია მოსწავლეებისათვის საკუთარი საჭიროებების შესახებ. გარდა ამისა, აქტიურად ვიყენებდი მოსწავლეთა თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებებს. მოსწავლეები მონაწილეობდნენ შეფასების კრიტერიუმების შედგენაშიც. ისინი დადებითად განეწყვნენ შეფასების მიმართ. დარწმუნდნენ, რომ შეფასების მიზანი მხოლოდ მათი დახმარება იყო. შემდგომ გამოვიყენე განმსაზღვრელი შეფასებებიც, რადგანაც სასწავლო პროცესში შეფასების ორივე ფორმის გამოყენებენება აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მართალია ჩემს მიერ გამოყენებული აქტივობები და მოქმედების სტრატეგიები სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ განხორციელებულმა ინტერვენციებმა,

მოსწავლეებში განავითარა  კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევები, აღნიშნული პედაგოგიური პრაქტიკის  კვლევის მიზანიც სწორედ ეს იყო...

**დასკვნა:** ის ახალი მეთოდები და რეკომენდაციები, რასაც გვთავაზობს თანამედროვე განათლების სისტემა ნამდვილად ეფექტურია და მოსწავლეთა საჭიროებებს მორგებული. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ თუ პედაგოგები ამ ახალი მიდგომებით იხელმძღვანელებენ, შეძლებენ  ნებისმიერ სასურველ შედეგზე გასვლას, რასაც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლი გეგმა. ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა და მიღწეული შედეგი ამის ნათელი დადასტურებაა. დისკუსია „მოზაიკა“  კი ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა და საშუალებაა, მოსწავლეთა შორის საკლასო გარემოში, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებისათვის, ამიტომ ვურჩევ ჩემს კოლეგებს რომ აქტიურად გამოიყენონ პრაქტიკაში. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დროს მიღებული  უნარ-ჩვევების  გამოყენებას  ჩემი მოსწავლეები შეძლებენ ყველა საგანში, სკოლაში და სკოლის გარეთ  მეგობრებთან, საზოგადოებასთან  და ა.შ. კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებამ ხელი შეუწყო სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვას,მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლებას, საგაკვეთილო პროცესების ხალისიანად და ნაყოფიერად ჩატარებას, გაუმჯობესდა აკადემიური მაჩვენებლები, ყოველდღიური სასკოლო ცხოვრება საინტერესო გახდა.

**მოქმედების სტრატეგიების იმ თანმიმდევრობით განხორციელება, რაც აღნიშნულ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას  განვახორციელე, გამოადგება კოლეგებს, რომლებსაც საკუთარ პრაქტიკაში შეექმნებათ მსგავსი პრობლემები.**

კოლეგების მხრიდან მიღებულმა უკუკავშირმა ნამდვილად აამაღლა ჩემი მოტივაცია და მზაობა ნებისმიერი ახალი გამოწვევის მიმართ. ჩატარებულმა კვლევამ გაამდიდრა ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა, დახვეწა  მოსწავლეებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარები, საინტერესო და ნაყოფიერი გახადა ჩემი ყოვედლდღიური პედაგოგიური მოღვაწეობა. კვლევის დასასრულს მადლობა გადავუხადე ჩემს პატარა მეგობრებს თანამშრომლობისა და მხარში დგომისათვის.

# პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დღიური (დოკუმენტირება)

## დანართი 1

**აღწერითი დაკვირვების მეთოდის განხორციელების დროს გამოყენებული, მოსწავლეთა ჩართულობის შეფასების რუბრიკა**

უმაღლესი ქულაა 5, დაბალი-1, მაქსიმალური ქულაა 20, მინიმალური ბარიერია-12;

| **კრიტერიუმი** | **1** | **2** | **3** | **4** | **5** |
|---|---|---|---|---|---|
| **მონაწილეობა** | არ მონაწილეობს საგაკვეთილო დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში | იშვიათად მონაწილეობს საგაკვეთილო დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში | ხანდახან მონაწილეობს დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში | უმეტესად მონაწილეობს დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში | ყოველთვის მონაწილეობს საგაკვეთ. დისკუსიებსა და სხვა აქტივობ-ში. |
| **თანამშრომლობა** | არ თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან | იშვიათად თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან | ხანდახან თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან | უმეტესად თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან | ყოველთვის თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან. |
| **მიმღეობა** | არ იღებს სიახლეებს | უჭირს სიახლეების მიღება | ნაწილობრივ იზიარებს და იღებს სიახლეებს | უმეტესად იღებს და იზიარებს სიახლეებს | ყოველთვის იღებს სიალეებს, ხშირ შემთხვევაში გვევლინება ინიციატორის როლში |
| **უკუკავშირი** | არ აწარმოებს უკუკავშირს | თოთოეული უკუკავშირი ეპიზოდურია, მწირია, არ ეყრდნობა არგუმენტებს. | ხანდახან აკეთებს უკუკავშირს. უკუკავშირი არ ხასიათდება კონსტრუქციულობით. | უმეტესად იძლევა უკუკავშირს. უკუკავშირი შეიცავს კონსტრუქციულობის ელემენტებს. | ყოველთვის მზად არის კონსტრუქციული უკუკავშირის მისაღებად. უკუკავშირი ეყრდნობა მყარ არგუმენტაციას. |

**დაკვირვების ოქმი**

2016 წლის 1 ნოემბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით ვაწარმოებდი აღწერით დაკვირვებას VII ა და VII გ კლასის მოსწავლეებზე. დაკვირვების დროს ვიყენებდი ზემოთ

მოცემულ შეფასების რუბრიკას. ორივე კლასი დაკომპლექტებულია საღად მოაზროვნე, ლაღი და დაინტერესებული მოსწავლეებით. სსსმ საჭიროების მოსწავლე არ არის.

მოსწავლეთა ძირითადი ნაწილი ჩართულია საგაკვეთილო აქტივობებში. შექმნილია მოსწავლეთა საჭიროებებს მორგებული, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული, თბილი და მეგობრული გარემო, რასაც ხელს უწყობს ჩემი მხრიდან  არჩეული კლასის მართვის

დემოკრატიული სტილი.  მოსწავლეების  უმრავლესობა  იცავს  სასწავლო წლის დასაწყისში, ერთობლივად შედგენილ ქცევის წესებს.
დაკვირვების ეს მეთოდი დამეხმარა გამომეკვეთა კონკრეტული მოსწავლეები ვინც ნაკლებად არის ჩართულნი საგაკვეთილო  პროცესებში, იშვიათად ან ხანდახან მონაწილეობენ  დისკუსიებსა და სასწავლო აქტივობებში, ასევე სუსტია მათი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევები. მიუხედავად ჩემი მცდელობებისა, რომ წახალისების, გამხნევების გზით  გამოვიწვიო  და ჩავრთო სასწავლო პროცესში, მათი სურვილი და მზაობა ამისათვის ძალიან სუსტია.

ორივე კლასში სწავლობს 58 მოსწავლე , აღწერითი დაკვირვებისას,  24-მა მოსწავლემ ვერ შეძლო 12 ქულიანი მინიმალური ბარიერის გადალახვა.

# აღწერითი დაკვირვების შედეგები

| მოსწავლე | შეფასების კრიტერიუმები | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მონაწილეობა | თანამშრომლობა | მიმღეობა | უკუკავშირი | ქულა |
| აბაშიძე დავითი | 4 | 4 | 5 | 5 | 18 |
| აბულაძე თამაზ | 4 | 3 | 4 | 4 | 15 |
| ბაიაშვილი გიორგი | 3 | 2 | 2 | 2 | 9 |
| ბახსოლიანი ლუკა | 3 | 3 | 2 | 3 | 11 |
| ბრედიხინი ნინო | 3 | 2 | 2 | 2 | 9 |
| ბუღაძე ნიკა | 2 | 2 | 2 | 3 | 9 |
| დარსალია გიგა | 5 | 4 | 4 | 5 | 18 |
| დორეული ნუცა | 5 | 5 | 5 | 5 | 20 |
| კეკელიძე ნიკოლოზი | 5 | 5 | 5 | 5 | 20 |
| კანჭაძე სალომე | 5 | 5 | 5 | 5 | 20 |
| კერესელიძე მარიამი | 2 | 3 | 3 | 3 | 11 |
| კესარელი ნიკა | 3 | 3 | 3 | 2 | 11 |
| კობაიძე ბესიკი | 5 | 4 | 5 | 4 | 18 |
| კუპრეიშვილი ბარბარე | 2 | 2 | 3 | 3 | 10 |
| კურტანიძე გიორგი | 3 | 2 | 3 | 3 | 11 |
| მელექსიშვილი ანა | 4 | 4 | 5 | 5 | 18 |
| სხილაძე ანა | 4 | 3 | 3 | 3 | 13 |
| სხილაძე მზია | 4 | 3 | 3 | 3 | 13 |
| ტაბიძე მარი | 4 | 3 | 4 | 4 | 15 |
| ფარულავა ლამზირა | 5 | 5 | 5 | 5 | 20 |
| ფარქოსაძე გიორგი | 4 | 5 | 5 | 4 | 18 |
| ქობულაძე თათია | 5 | 5 | 4 | 4 | 18 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ღვალაძე ნიკა | 2 | 2 | 3 | 3 | 10 |
| ყაველაშვილი გვანცა | 2 | 4 | 4 | 4 | 14 |
| შანშიაშვილი ნინო | 4 | 5 | 5 | 4 | 18 |
| ძამუკაშვილი მარი | 4 | 5 | 5 | 4 | 18 |
| ჭინჭარაული გიგა | 2 | 2 | 3 | 3 | 10 |
| დვალი თინათინი | 4 | 4 | 3 | 5 | 18 |
| კოზანაშვილი ნიკა | 4 | 4 | 4 | 4 | 16 |
| აბრამიშვილი თათა | 2 | 1 | 2 | 2 | 7 |
| ახალაძე ლევანი | 2 | 1 | 2 | 3 | 8 |
| გავაშელი ლაშა | 3 | 2 | 3 | 3 | 11 |
| გელდიაშვილი ბაჩანა | 3 | 2 | 3 | 2 | 10 |
| დინუაშვილი საბა | 5 | 4 | 4 | 4 | 17 |
| დუმბაძე მარიამი | 5 | 4 | 4 | 4 | 17 |
| თავბერიძე ლაშა | 5 | 4 | 4 | 4 | 17 |
| კამლაძე საბა | 5 | 4 | 5 | 4 | 18 |
| კვიჟინაძე მარი | 4 | 3 | 4 | 4 | 15 |
| ლაგირვანიძე ფიქრია | 4 | 3 | 4 | 4 | 15 |
| ლურსმანაშვილი ნინო | 4 | 4 | 4 | 5 | 17 |
| მდინარაძე ანო | 4 | 4 | 5 | 5 | 18 |
| მელაშვილი ელენე | 3 | 3 | 3 | 2 | 11 |
| ნაფეტვარიძე მარი | 4 | 3 | 4 | 4 | 15 |
| ნავროზაშვილი მიხეილ | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| ოთარაშვილი ლუკა | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| სააკაშვილი ქეთი | 4 | 5 | 5 | 4 | 18 |
| ქელეხსაშვილი საბა | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| ქელეხსაშვილი გიორგი | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| ქუმარიტაშვილი ელისაბ | 3 | 3 | 3 | 3 | 12 |
| ყავლაშვილი მარი | 3 | 3 | 3 | 2 | 11 |
| ჩინჩალაძე ნინო | 5 | 5 | 4 | 4 | 18 |
| ცხადაძე ლიკა | 5 | 5 | 5 | 5 | 20 |
| ხარებაშვილი მარი | 2 | 2 | 2 | 2 | 8 |
| ხარძიანი მარი | 3 | 2 | 2 | 3 | 10 |
| ხატიაშვილი ხატია | 4 | 4 | 4 | 4 | 16 |
| ხვედელიძე რეზო | 5 | 4 | 4 | 4 | 17 |
| ხმალაძე ნიკა | 2 | 2 | 2 | 3 | 9 |
| პაცლიაშვილი ცოტნე | 2 | 2 | 3 | 3 | 10 |

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, პედაგოგიური კვლევის შემდგომ ეტაპზე დავგეგმე, ფოკუსირებული დაკვირვება, ფოკუსის დადგენის მიზნით. შევადგინე

შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები, განვსაზღვრე დაკვირვების პერიოდი  თუ რას დავაკვირდებოდი აღნიშნულ დროს უკვე კონკრეტულ მოსწავლეებში.  ჩემი მოლოდინები ფოკუსირებული დაკვირვების დროს იყო შემდეგი:
გავარკვიო, კონკრეტულად  კომუნიკაციის და თანამშრომლობის რომელი უნარების განვითარებას საჭიროებენ ჩემი მოსწავლეები და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შემდგომ ეტაპზე, შესაბამისად განვახორციელო მოქმედების შესაბამისი სტრატეგიები.

# დანართი 2

**ფოკუსირებული დაკვირვების  შეფასების რუბრიკა**

| **კრიტერიუმი** | **1** | **2** | **3** | **4** |
|---|---|---|---|---|
| **მოსმენა** | იშვიათად უსმენს თანაგუნდელებს. უყურადღებოა. | ხანდახან უს-მენს თანაგუნ-დელებს. ნაკლებად ყუ-რადღებიანია | ხშირად უს-მენს თანაგუნ-დელებს. ყუ-რადღებიანია | ყოველ-თვის ყურად ღებით უს-მენს თანა-გუნდელებს |
| **აზრის გამოხატვა** | იშვიათად აფიქ სირებს საკუთარ აზრს. | ხანდახან აფიქ სირებს საკუ-თარ აზრს | ხშირად აფიქსირებს საკუთარ აზრს | ყოველთვის აფიქსირებს საკუთარ აზრს |
| **თავდაჯერებულობა** | არ არის დარწმუ ნებული საკუ-თარ შესაძლებ-ლობებში. | ნაკლებად არის დარწმუ-ნებული საკუ-თარ შესაძლებ ლობებში | დარწმუნებულ-ია საკუთარ შესაძლებლო-ბებში, თუმცა ვერ ახერხებს ყოველთვის ჯგუფის დახმარებას | დარწმუნებულ ია საკუთარ შესაძლებლო ბებში.შეუძ-ლია ჯგუფის დახმარება |
| **პასუხისმგებლობა** | არ იღებს პასუ-ხისმგებლობას საკუთარ თავზე | ხანდახან იღებს პასუ-ხისმგებლობას საკუთარ თავზე | ხშირად იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებ ლობას | ყოველთვის შეუძლია პასუ-ხისმგებლო-ბის საკუთარ თავზე აღება |
| **ურთიერთპატივისცემა** | ნაკლებად გამო-ხატავს პატივის ცემას თანაგუნ დელთა  და განსხვავებული აზრის მიმართ | ხანდახან გამოხატავს პატივისცემას თანაგუნდელ თა და განსხვა ვებული აზრის მიმართ | ხშირად გამო-ხატავს პატი-ვისცემას თანა გუნდელთა და განსხვავე-ბული აზრის მიმართ | ყოველთვის გამოხატავს პატივისცემას თანაგუნდელ თა და განსხვა ვებული აზ-რის მიმართ |

**ფოკუსირებული დაკვირვების ოქმი**

2016 წლის 15 ნოემბრიდან 29 ნოემბრის ჩათვლით, ვაწარმოებდი ფოკუსირებულ დაკვირვებას 7 „ა“ და 7 „გ“ კლასის მოსწავლეებზე, შესაბამის შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ვაკვირდებოდი იმ კონკრეტულ მოსწავლეებს, რომლებიც აღწერითი დაკვირვების დროს გამოირჩეოდნენ სუსტად განვითარებული კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევებით. ამ დაკვირვების მიზანი იყო მკაფიოდ გამომეკვეთა კვლევის კონკრეტული ელემენტები. ორკვირიანი დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, გამოვიტანე დასკვნა: მოსწავლეები ყურადღებით უსმენენ ერთმანეთს, გამოხატავენ პატივისცემას, ასევე ასრულებენ წინასწარ შედგენილ ქცევის წესებსაც, თუმცა კონკრეტული საჭიროებები, რომლის ნაკლებობასაც განიცდიდნენ ჩემი მოსწავლეები იყო, ის რომ: 1 ) იშვიათად ან ხანდახან აფიქსირებენ საკუთარ აზრს; 2 ) არ არიან, ან ნაკლებად არიან დარწმუნებულები საკუთარ შესაძლებლობებში და არ იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე. 3) არ მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღებაში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდგომ, გადავწყვიტე მეპოვა გზები მათ გადასაჭრელად. გავესაუბრე მოსწავლეებს, თუმცა შევამჩნიე, რომ მოსწავლეები თავს არიდებდნენ გულწრფელ პასუხებს. ამიტომ კვლევის შემდგომ ეტაპზე დავგეგმე ანონიმური ანკეტირება და ფოკუს-ჯგუფი. მოლოდინი მქონდა, რომ თვისებრივი და რაოდენობრივი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ეს მეთოდები, დამეხმარებოდნენ კიდევ უფრო სიღრმისეულად გამომეკვლია მიზეზები, რაც იწვევდა ზემოთაღნიშნულ მოცემულობას მოსწავლეებში.

შევდაგინე ღია კითხვები, რომლებსაც გამოვიყენებდი ანონიმური ანკეტირებისას, ასევე მოვამზადე წინაპირობები ფოკუს-ჯგუფის ჩასატარებლად. განვსაზღვრე მათი ჩატარების ვადები და მოლოდინები.

# დანართი 3

**ანკეტირების შედეგები**

| შეკითხვა | ყოველთვის | ხანდახან | იშვიათად | არასოდეს |
|---|---|---|---|---|
| ჩემს აზრს ღიად გამოვთქვავ | 10 | 5 | 5 | 4 |
| როცა სხვა ლაპარაკობს ყურადღებით ვუსმენ | 12 | 6 | 5 | 1 |
| პატივისცემით ვეპყრობი სხვის მოსაზრებებს | 15 | 8 | 1 | 0 |
| მაინტერესებს და ვითვალისწინებ განსხვავებულ აზრს | 14 | 6 | 2 | 2 |
| ვიცი, რომ კამათი ჩხუბში არ უნდა გადაიზარდოს. მიუხედავად ამისა მონაწილეები ბრაზდებიან ერთმანეთზე | 4 | 12 | 6 | 2 |
| კამათი გაკვეთილის შემდეგაც გრძელდება | 1 | 4 | 5 | 14 |
| ვთანამშრომლობ ჯგუფის წევრებთან | 8 | 8 | 4 | 4 |
| ერთობლივად ვიღებთ გადაწყვეტილებებს | 14 | 6 | 2 | 2 |
| ვიცავ დროის ლიმიტს | 7 | 12 | 2 | 1 |
| ვგრძნობ თანაგუნდელები საგან პატივისცემას | 14 | 7 | 2 | 1 |
| თავს ვარიდებ საკუთარი აზრის გამოთქმას | 10 | 5 | 5 | 4 |
| მაქვს სურვილი ჯგუფური მუშაობის | 10 | 7 | 2 | 5 |
| დარწმუნებული ვარ საკუთარ შესაძლებლობებში და ვიცი რომ ჯგუფის დახმარებას შევძლებ | 6 | 10 | 5 | 3 |

## ანკეტირების შდეგების ანალიზი

პედაგოგიური კვლევის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდი არის მასობრივი გამოკითხვა. მის წერილობით ფორმას უწოდებენ ანკეტირებას. ანკეტირების ჩატარებისას, გადავწყვიტე ანონიმური ფორმა ამერჩია, რადგანაც ამ დროს მოსწავლეები უფრო გულწრფელები არიან. ამავე დროს, მოვემზადე ფოკუს-ჯგუფის ჩასატარებლად. მინდოდა კვლევის თვისობრივი მეთოდის (ფოკუს-ჯგუფი) და რაოდენობრივი მეთოდის (ანკეტირება) გამოყენებით დამედგინა ჩემი პედაგოგიური კვლევის მთავარი სამიზნე მოსწავლეთა საჭიროებები, რომლის მიხედვითაც დავგეგმავდი შემდგომი მოქმედების სტრატეგიების განხორციელებას.

ანკეტირებაში მონაწილეობა შევთავაზე 7 „ა“ და 7 „გ“ კლასის იმ მოსწავლეებს, რომლებსაც, ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად, აღმოჩნდა რომ, სუსტად ქონდა განვითარებული კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარები. მოსწავლეებმა ხალისით მიიღეს ანონიმურ ანკეტირებაში მონაწილეობა. ანკეტირების შედეგების ანალიზისას ამოვარჩიე ის პასუხები, რომლებიც ვფიქრობ ჩემი მხრიდან სერიოზულ საპასუხო ნაბიჯებს მოითხოვდა. გამოიკვეთა შემდეგი კონკრეტული სახის საჭირეოებები: მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი თავს არიდებს საკუთარი აზრის ღიად დაფიქსირებას, არ გრძნობს პატივისცემას თანაგუნდელებისაგან, არ არის დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში, პასუხებიდან გაირკვა, რომ კამათი მოსწავლეთა შორის ხანდახან გაკვეთილის შემდეგაც გრძელდება. ანონიმური ანკეტირების შედეგები შევადარე ფოკუს-ჯგუფის მონაცემებს და ამ ყველაფრის გაანალიზების საფუძველზე, დავგეგმე მოქმედების სტრატეგიების განვითარება. გადავედი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შემდგომ ეტაპზე.

## ფოკუს-ჯგუფის შედეგების ანალიზი

2016 წლის ნოემბერში ჩავატარე ფოკუს-ჯგუფი. მასში მონაწილეობდა 8 მოსწავლე, ხანგრძლივობა იყო 1 საათი. შევადგინე წინასწარ კითხვები, ჩემი მოლოდინები იყო შემდეგი: ყველა მოსწავლეს მივცემდი საშუალებას გამოეთქვა საკუთარი აზრი თავისუფლად, აზრთა გაცვლის პროცესში დავაკვირდებოდი მოსწავლეთა დამოკიდებულებას პრობლემებისადმი, განწყობებსა და ემოციებს. შევარჩიე ღია კით-

ხვები, რომელთა პასუხებიც სავარაუდოდ დამეხმარებოდა ამეხსნა მოსწავლეთა პასიურობის მიზეზები. იმისათვის, რომ მოსწავლეები ყოფილიყვნენ გულახდილები და დისკუსიაში მაქსიმალურად ჩართულები, ვიზრუნე მეგობრული, ღია და დადებითი ატმოსფეროს შექმნისათვის. ფოკუს-ჯგუფის მიზანი არ იყო რაიმე გადაწყვეტილების მიღება, ის ყველა რესპოდენტს მისცემდა საშუალებას საკუთარი აზრი გამოეთქვა. ტექნიკურ მხარეზე იზრუნეს მოსწავლეებმა, ფოკუს-ჯგუფის მსვლელობის ჩაწერა და ხმოვანი რესურსის მომზადებასაც თავად გაართვეს თავი, ხოლო მასალის ქაღალდზე და შემდეგ კომპიუტერში გადატანაზე ვიზრუნე თავად. კითხვები, რომლებიც ფოკუს-ჯგუფისთვის შევარჩიე, შემდეგნაირად მქონდა ჩამოყალიბებული:

1) დაასახელეთ მიზეზები, რის გამოც თქვენ თავს იკავებთ საკუთარი აზრის დაფიქსირებისაგან.

2) როგორ სასწავლო გარემოს ისურვებდით იმისათვის, რომ თქვენ თამამები და ლაღები იყოთ თანაგუნდელთა შორის.

3) შეგიძლია თუ არა გუნდის დახმარება? დაასაბუთე რატომ?

4) ხომ არ გრძნობ თანაგუნდელებისაგან არასასურველ დამოკიდებულებას, რაც შენ ხელს გიშლის ჩართულობაში?

5) რა იქნებოდა თქვენი მეგობრული რჩევა ჩემთვის? და ა. შ.

მოსწავლეები თავიდან თავშეკავებით, მაგრამ შემდეგ ღიად საუბრობდნენ. აქტიურად და ყურადღებით ვუსმენდი მათ. ვთხოვდი ხელმეორედ განემარტათ ჩემთვის რასაც ვერ ვიგებდი.... მოსწავლეთა საუბარში გამოიკვეთა უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ ურთიერთპატივისცემა თანაგუნდელთა შორის სუსტია, ნაწილმა კი აღნიშნა, რომ პატივისცემას გრძნობს, თუმცა თვითონ გაუბედავია და ურჩევნია თავისთვის იყოს, ხომ შეიძლება რაღაცა ვერ თქვას სწორად და ამან მეგობრების მხრიდან დაცინვა და არასასურველი კომენტარები გამოიწვიოს.

მიაჩნდათ, რომ ყველაფერს მათზე აქტიური მოსწავლეები გააკეთებდნენ. ისინი კი იქნებოდნენ „წყნარად“, „თავისთვის“ და ხელს არ შეუშლიდნენ მეგობრებს სასურველი ქულის აღებაში. მოულოდნელად გაირკვა, რომ შეფასების მომენტი მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილში ღელვას და ემოციას იწვევდა.... ეს კიდევ ერთი მიზეზი იყო, რის გამოც მოსწავლეები თავს არიდებდნენ ჯგუფის მუშაობაში აქტიურად ჩართვას.

მოულოდნელად წამოჭრილმა პრობლემამ დამაფიქრა იმაზე, თუ როგორ მომეძია გზები, რომლის საშუალებითაც შევამცირებდი ღელვასა და ემოციას შეფასებების დროს.

**ამრიგად: ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის ანალიზის შედეგად გაირკვა,** რომ მოსწავლეები არიან გაუბედავები, ამიტომ თამამად ვერ ახერხებენ საკუთარი აზრის დაფიქსირებას. არ არიან საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულები, თვლიან რომ არ შეუძლიათ ჯგუფის დახმარება, ამიტომ გადაწყვეტილებების მიღებას სხვებს ანდობენ....ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ შეიძლება ხელი შეუშალონ მეგობრებს სასურველი ქულის აღებაში, ამიტომ თავს იკავებენ საკუთარი აზრის დაფიქსირებისაგან. მართალია მასწავლებელი მათ მიმართ კეთილგანწყობილია და არ ეშინიათ შეცდომების დაშვების, მაგრამ მაინც არ სურთ მეგობრების წყენინება. დასასრულს, მადლობა გადავუხადე მოსწავლეებს თანამშრომლობისათვის. როგორც უკვე ავღნიშნე, ფოკუს-ჯგუფის და ანკეტირების შედეგად მიღებული შედეგების გაანალიზების შემდეგ, გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით დავგეგმე შემდგომი მოქმედებების სტრატეგიების განხორციელება.

# დანართი 4

**დისკუსიის შეფასების რუბრიკა**

| **კრიტერიუმი** | **1** | **2** | **3** |
|---|---|---|---|
| **მოსმენა** | იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს | ხშირად უსმენს და უყურებს ორატორს | ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევ ნებს ორატორს |
| **საუბარი** | მეტყველება არამკა-ფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება | ძირითადად მეტყვე-ლება გასაგებია და უყურებს მსმენელებს | მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელებს |
| **არავერბალური კომუნიკაცია** | იშვიათად იყენებს არავერბალურ კომუ-ნიკაციის ფორმებს | ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბა-ლური კონტაქტი | შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყე-ნოს არავერბალური კომუნიკაციის ფორ-მები (თვალით,ჟესტე-ბით, გამომეტყველე-ბით, ხმით) |
| **მონაწილეობა** | მცირე ინტერესი აქვს არ გამოხატავს, ან ვერ უკავშირებს თა-ვის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას | ძირითადად გამოხა-ტავს ინტერესს. კომენტარები და აზ-რები ყოველთვის არაა თემის გარშემო. | უჩვენებს ინტერესს დისკუსიის თემი-სადმი საჭირო კომენტარებითა და აზრების გამოთქმით |
| **თანამშრომლობა** | იშვიათად თანამშრომ ლობს და იცავს დისკუსიის წესებს | ძირითადად თანამშ-რომლობს კლასელებ-თან, ზოგჯერ ერთვე-ბა სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს | თანამშრომლობს კლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთ-ქმას და იცავს დისკუ-სიის წესებს |
| **მოსაზრების არგუმენტაცია** | მოსაზრება მოკლებულია ლოგი-კურ კავშირს საკითხ-თან და არ არის გამყარებული ფაქტებით | მოსაზრებების გასამყარებლად გამოყენებულია სადა-ვო ფაქტები და ცნებები | მოსაზრება ორიგინა-ლურია და გამყარებუ ლია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგი კური კავშირი საკითხთან |

დისკუსიის ნებისმიერი ფორმა ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. აღნიშნულ შეფასების რუბრიკას ვიყენებდი მოსწავლეების წყვილებში მუშაობის დროსაც.

როგორც ვიცით კლასის მართვის რამოდენიმე სტილი არსებობს. **ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში ვიყენებ კლასის მართვის დემოკრატიულ სტილს. ეს ხელს უწყობს თანასწორუფლებიან და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ , მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გარემოს შექმნას. ჩემი მოლოდინები: სწორედ კლასის მართვის არნიშნული ფორმის გამოყენება, დამეხმარება დავძლიო მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილში არსებული გაუბედაობა.**

# დანართი 5

დაკვირვების დღიურის ნიმუში:

| მოსწავ-ლის სახელი, გვარი | თარიღი | ორგანიზებულობა/კლასელებთან ურთიერთობა | ჯგუფური მუშაობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| X | 1.11.2016 | არ თანამშრომლობს კლასელებთან | გაუჭირდა, გაუბედავია | გამოვიყენე სიტყვიერი გამამხნევებელი კომენტარი |
| | 16.11.2016 | ცდილობს ურთიერთობას, თუმცა მალე მუშაობის სურვილი დაკარგა | დააფიქსირა საკუთარი აზრი დაძაბულია | გამოვიყენე სიტყვიერი გამამხნევებელი კომენტარი |
| | 5. 12.2016 | ცდილობს ურთიერთო ბას, თუმცა არ იჩენს პირველი ინიციატივას. | ცდილობს იყოს დამაჯერებელი | ჯგუფის შეფასებისას ავღნიშნე მისი აქტიურობა |
| | 16.12.2016 | თანამშრომლობს კლასელე ბთან, მაგრამ ფრთხილია შეცდომა არ დაუშვას | დაძაბულია,თუმცა არ უნდა პასიური მსმენელი იყოს | ავუხსენი მოსწავლეებს, რომ შეცდომას ყველა უშვებს. მივმართე თბილად და გა ვამხნევე და გამოვიყენე განმავითარებე ლი |
| | 23.01. 2017 | თამამად და თავისუფლად თანამშრომლობს კლასე ლებთან. | გამოხატავს საკუთარ აზრს | შეფასება |
| | 2. 02.2017 | იჩენს ინიციატივას. თავდა ჯერებულია | შეუძლია მოისმინოს და დააფიქსიროს | პოზიტიური განმავითარებე ლი შეფასება |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 .02.2017 | თანამშრომლობს კლასელებთან | განსხვავებული აზრი<br><br>ყურადღებით უსმენს, საუბრობს, გამოხატავს თამამად საკუთარ აზრს | გამოვხატავ პატივისცემას ვაკეთებ პოზიტიურ განმავითარებელ შეფასებას |

დაკვირვების დღიურებს ვაწარმოებდი პერიოდულად, მოქმედების სტრატეგიების განხორციელების პარალელურად. განმავითარებელი შეფასებების დახმარებით, მოსწავლეებს ვაწვდიდი რჩევებს მათი საჭიროებების შესაბამისად.

დაკვირევბის დღიურების ანალიზის საფუზველზე ვიღებდი ინფორმაციას, სწორი იყო თუ არა ჩემს მიერ განხორციელებული მოქმედებების სტრატეგიები, საჭიროებნდენ თუ არა სიტუაციების მიხედვით კორექტირებას. ამასთან ერთად რეალურად ვხედავდი მოსწავლეთა წინსვლასა და მიღწეულ შედეგებს.

# დანართი 6

**სსიპ. ქ. თბილისის 174-ე საჯარო სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი**

2017 წლის 23 მარტს ჩატარდა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომა. სხდომას ესწრებოდა 7 წევრი: მანანა ჯინჭარაძე (კათედრის თავ-რე ), მარი გუგეშაშვილი, ნინო თაბუკაშვილი, ნანული ლოთიშვილი, მარინე სეფიაშვილი, დიანა კორაშვილი. სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა ქ-ონი ცინარი ხმიადაშვილი.

**დღის წესრიგი:** 1) ისტორიის პედაგოგი, ნანული ლოთიშვილის მიერ

წარმოებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პრეზენტაცია.

მომხსენებელი: ნ. ლოთიშვილი

კათედრის თავმჯდომარე ქ-ონმა მანანა ჯინჭარაძემ ისაუბრა კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობაზე. კოლეგიალობა და პედაგოგებს შორის თბილი, მეგობრული დამოკიდებულება ხელს შეუწყობს კათედრის წინსვლასა და წარმატებას. ისაუბრა ერთმანეთს შორის გამოცდილებების გაზიარების მნიშვნელობაზეც. სწორედ ამ მიზანს ისახავდა დღევანდელი სხდომაც. მან სთხოვა კოლეგებს, ყურადღებით მოესმინათ ქ-ონ ნანული ლოთიშვილისთვის და გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები აღნიშნულ პედაგოგიურ კვლევასთან დაკავშირებით.

**მოისმინეს:** ნანული ლოთიშვილმა კოლეგებს გააცნო პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის თემა და მიზანი. ისაუბრა რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება. განუმარტა კოლეგებს რა საჭიროებამ გადააწყვეტინა აღნიშნულ თემაზე მუშაობა. საინტერესოდ და გასაგებად იქნა წარმოადგენილი კვლევის ყველა ეტაპი: მეთოდების არჩევა, შედეგების ანალიზი, მოქმედების სტრატეგიების განვითარება და მათი მართებულობა, ასევე თითოეული ინტერვენციის განხორციელებისას ჩამოყალიბებული პედაგოგის მოლოდინები და მიღებული შედეგები. მონაცემები წარმოდგენილი იყო დიაგრამების, ცხრილების საშუალებით. ასევე კვლევას თან ახლდა თითოეულ ეტაპზე განხორციელებული აქტივობების დოკუმენტირება, დანართების სახით. მან პედაგოგებს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება და მიმართა თხოვნით კოლეგებს შეეფასებინათ და გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:**

მანანა ჯინჭარაძემ, ნინო თაბუკაშვილმა, მარი გუგეშაშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ პედაგოგიური კვლევა საინტერსოდ არის

წარმოდგენილი. აუცილებლად გაითვალისწინებენ კოლეგის გამოცდილებას და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებენ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში. ასევე გამოთქვეს საკუთარი შეხედულებები და შენიშვნები აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა პედაგოგების მხრიდან დადებითად იქნა შეფასებული.

**დაადგინეს:**

ისტორიის პედაგოგი ნანული ლოთიშვილის მიერ წარმოდგენილი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა დადებითად იქნას შეფასებული. კოლეგებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ კათედრა ყოველთვის გვერდით დაუდგება თითოეული პედაგოგის ნებისმიერ ინიციატივას, გაწეულ შრომას, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნასა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების მიღწევას. ყოველთვის იქნება მზად მოისმინოს და გაიზიაროს თითოეული წევრის მოსაზრება და გამოცდილება. კათედრის ყველა წევრი, მუდმივად ითანამშრომლებს ერთმანეთთან, რაც რათქმაუნდა ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესების სრულყოფილად წარმართვასა და დახვეწას, გააუმჯობესებს და გააჯანსაღებს სასკოლო ცხოვრებას, უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას.

სხდომის თავ-რე: მანანა ჯინჭარაძე

მდივანი: მარინე სეფიაშვილი

**2017 წელი. 23 მარტი**